ცნობის ფურცელი

№ 1895 სამშაბათი, 13 აგვისტო. 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1895

ხაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი“
სურათებიანი დამატებით

1-ლ აგვისტოდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **3** მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

გაზ. „ცნობის-ფურცლის“ რედაქცია გულითადის მწუხარებით აუწყებს მკითხველთ, რომ 12 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ., მცირე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ამ გაზეთის თანამშრომელი

ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი

პანაშვიდები ყოველდღე: დღისით 12 საათზე და საღამოთი 8 საათზე, მიცვალებულის ბინაზე, ავჭალისა და ნიკოლოზის ქუჩების კუთხეში, გაგნიძის სახლი.

ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა, ივანე და გიორგი ანტონის ძენი ცაგარელნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი მეუღლისა და მეორენი ძმისა

ავქსენტი ანტონის ძის ცაგარლისას

პანაშვიდები: დღით 12 საათზედ და საღამოთი 8 საათზე. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (რ. 3—1)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ 12 ამა აგვისტოს გარდაიცვალა დრამატურგი და დრამატ. საზოგადოების საპატიო წევრი

ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი

პანაშვიდები ყოველ დღე: დღით 12 საათზე და საღამოთი 8 საათზე განსვენებულის სადგომში, ავჭალის ქუჩა, სახლი გაგნიძის. (რ. 3—1)

საგენერალო საზოგადოება.

საგენერალო საზოგადოება

სიცოცხლისა და შემოსავლის დაზღვევისა, უმაღლესად დამტკიცებული პეტერბურგში 1899 წელს.

ყველას შეუძლიან უზრუნველ-ჰყოს თავისი თავი

სიცოცხლის დაზღვევის საშუალებით.

უიაფესი ტარიფები. ლიბერალური და ჰუმანიური პირობანი. დამზღვევთა უზრუნველყოფილობა.

საზოგადოების პოლისები უდავო და დაურღვეველია

შედარებითი ტარიფი პრემიებისა იმ 35 წლის კაცთათვის, რომელნიც 10.000 მანეთში დაიზღვევენ თავს.		
საგენერალო საზოგადოებაში 242 მ. 40 კაპ.	რუსეთის სხვა საზოგადოებებში 272 მან.	იმ უცხოელთ საზოგადოებებში, რომელნიც რუსეთში მოქმედებენ. 307 მან.

ფულის გადახდა ყოველთვიურადაც შეიძლება.

დაზღვევა თავისა შეიძლება 18-**დან** 65 **წლამდე**. საჭიროა მხნე და ინტელიგენტი აგენტები და თანამშრომლები ამიერ-კავკასიისათვის.

ამიერ-კავკასიის ოლქის გამგე ა. ს. გრიცი. ოლქის ინსპექტორ-ორგანიზატორი ნ. ი. კრეინდილი, ტფილისში. (5—1)

საგენერალო საზოგადოება.

ღირსის მამის ანტონის მარტმყოფის მონასტრისაგან

ამა აგვისტოს 13 რიცხვს საღამოთი და 14-ს, ღირსი მამა ანტონის მარტმყოფის მონასტერში **მაღალყოვლად უსამღვდელოესის ალექსის**, საქართველოს ეგზარხოსის მიერ, გარდაჭდილი იქმნება სადღესასწაულო წირვა-ლოცვა, რადგან ამ დროს უნდა შესრულდეს კურთხევა მონასტრის წმ. გიორგის უძველესის ტაძრისა და ღირსის მამა ანტონის მესვეტისა, აგრეთვე ახლად აღშენებულის საძმო ტრაპეზისა. 15-ს საღამოთი და 16 აგვისტოს, ტაძრის დღესასწაულისა გამო, **მისის მაღალყოვლად უსამღვდელოესის** მიერ შესრულებულ იქმნება აგრეთვე სადღესასწაულო ღვთის მსახურებანი ტაძარში, ხოლო საღამოთი 16 აგვისტოს ლიტანიით გაემართება მთაზე, რომელიც ნაკურთხია და განწმენდილი ღირსი, მესვეტეს მოღვაწებითა.

კეთილ-მსახურნი პატივისმცემელნი ღირსის ანტონის დღესასწაულისანი მოიწვევიან საერთო ლოცვისა და შეძლებისაგვარად დახმარებისათვის წმ. ანტონის მოღვაწეობის ძეგლის განზრახულ განახლების საქმეში—მისის სვეტისა მაღლა მთაზე და ღირსის სახელზე ნიშის აღშენებისა იმ ადგილს, სადაც ურწმუნოთაგან დაიხოცნენ ათორმეტნი ძმანი. თვითოეული ქვა, ატანილი მაღლა მლოცველთაგან, ამ სადღესასწაულო წირვა-ლოცვაში დამსწრეთაგან და ყოველი წვლილი, შემოწირული ამ წმიდა საქმეზე—აღმშენებელთაგან მიიღებიან ულრმესის მადლობით.

ღვთის-მსახურებანი დაიწყებიან: ღამის თევით საღამოს ლოცვა 6 საათზე, ლიტურგია (წირვა) დილის 9 საათზე; ლიტანია დაიწყება შუადღის უკან 4 საათზე. (3—2)

ფოთის საბუხჰალტერიო კურსები

ა. კ. გიგანეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. (ნ. 20—14)

ბორჯომში
ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 8½—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქჭიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმაიევის სახლი.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსიაა I განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან 7 და 8 წლის ყმაწვილები. დანარჩენ განყოფილებაში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიად არ მოიპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 აგვისტომდის.

თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქმნეს წლოვანებისა, აზნაურშვილობის და ყვავილის აცრის მოწმობები.

ყმაწვილების მიღება დანიშნულია 31 აგვისტოს.

სწავლა დაიწყება 2 სექტემბერს. (ნ. 3—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ა. ა. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. ჰ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ა. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ა. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინამვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. **ტელეფონი № 274.** (წლ.)

---

† ავქსენტი ცაგარელი

სამწუხარო ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს: გუშინ, ნაშუადღევის 4 საათსა და 15 წუთზე გარდაიცვალა ჩვენი ცნობილი დრამატურგი და მწერალი ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი. განსვენებული სულ ორი დღე ავადმყოფობდა და ეს ორი დღეც საკმაო იყო, რომ ჩვენ მწერლობასა დი თეატრს სამუდამოდ დაეკარგნა ნიჭიერი და მოამაგე მოღვაწე.

არ შეგვიძლიან ეხლავ შევუდგეთ განსვენებულის მოღვაწეობის აღნუსხვას; ვიტყვით მხოლოდ, რომ ცაგარლის გარდაცვალება დიდი, მეტად დიდი დანაკლისია ჩვენის მწერლობისა და განსაკუთრებით ახლად ფეხ-ადგმულ თეატრისათვის. განსვენებული ოცი—ოც-და-ხუთი წელიწადი მოღვაწეობდა: იმან ჩაუდგა სული ჩვენ დრამატიულ ხელოვნებას და სხვებთან ერთად დაუდო თეატრს ის საფუძველი, რომლის მეოხებითაც იგი საერო დაწესებულებად გადაიქცა. განსვენებული 1878 წლიდან დაწყებული დღემდე დაუღალავად ემსახურებოდა ჩვენს თეატრს და მწერლობას. შედარებით იგი ახალგაზრდა კაცი იყო, სულ 45 წლისა, ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე; სწორედ ამიტომ იმისი გარდაცვალება ყველასათვის მოულოდნელი და დიდად სამწუხაროა. ამ ბოლოს დროს განსვენებული ჩვენს რედაქციაში თანამშრომლობდა. უკანასკნელად რედაქციაში იყო და იმუშავა პარასკევს, 10 აგვისტოს.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ძვირფასო მწერალო და დაუვიწყარო ამხანაგო, ასიკო.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ერთ ინგლისურ გაზეთში ვრცელი წერილია მოთავსებული ირლანდიის საქმეების შესახებ. „ირლანდიის ნაციონალისტურ პარტიას კრება ჰქონდა დუბლინში, რომელმაც ერთხელ კიდევ მოაგონა ინგლისს, რომ სამეფოს ერთ დიდ ნაწილში, რაც დრო გადის, უკმაყოფილება უფრო ვრცელდება. ირლანდია ინგლისს მხოლოდ ძალით უჭირავს. გაიყვანეთ ინგლისელი გარნიზონები და მაშინვე ომი იფეთქებს. თუ ინგლისს როდისმე შეემთხვა ევროპის კოალიციასთან შებმა, ირლანდია იქმნება ის ნაწილი სამეფოსი, სადაც ინგლისის მტრებს სიხარულით მიეგებებიან. ჩვენ ვერ მოვახერხეთ, რომ ირლანდიის ხალხი შერიგებოდა ჩვენ მეფობას. ან რა გასაოცარია? რაკი ირლანდიელებს პარლამენტი და კონსტიტუციური უფლებანი წავართვით, ამის მაგიერ დიდი ქონებრივი სარგებლობაც რომ კიდეც მოგვეტანა და ჩვენი კაპიტალებით დავხმარებოდით მათ ქვეყნის განვითარებას, და ბრძენი და ძლიერი მთავრობა დაგვენიშნა, რომლის მმართველობის წყალობით ირლანდია აყვავებულიყო,—ირლანდია მაშინაც კი დასტირებდა თავის დამოუკიდებლობას... მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია, ირლანდიისთვის არა გაგვიკეთებია-რა: თვით-მართველობა კი წავართვით, მაგრამ არავითარი მატერიალური სარგებლობა არ მივეცით. უკანასკნელ 60 წლის განმავლობაში კუნძულის მკვიდრთა რიცხვმა იკლო, თითქმის განახევრდა. საუკეთესო ნაწილი წავიდა შეერთებულ შტატებსა და კოლონიებში. ნუ-თუ ამას შემდეგ გასაოცარია, რომ ირლანდიის ნაციონალისტთა პარტია იკრიბება დუბლინში, რადა დასწყევლოს ინგლისის ბატონობა? რა გვარ შეიძლება ამ საშინელი მდგომა-

რეობის შეცვლა? რითი უნდა ებრძოლონ მას? „ჰოუმრულით“, ამბობს ირლანდიის პარტიის ლიდერი, ჯონ რიდმონდი. „მტკიცე და სასტიკი რეჟიმია საჭირო“, ამბობს ლორდ სოლსბერი. მაგრამ 15 წელიწადია ამ სასტიკ რეჟიმს ვხედავთ ირლანდიაში,—და რა ნაყოფი მოჰყვა მას? არას დროს ასეთი ძლიერი არა ყოფილა უკმაყოფილება და ტანჯვა ასეთი ინტენსიური. ამაზე უარესი მდგომარეობა შეუძლებელია და იგი არ შეიცვლება მანამდე, ვიდრე არ მოისპობა ირლანდიის ადმინისტრაციის ბოროტ-მოქმედება, ვიდრე არ გაუმჯობესდება ხალხის ეკონომიური მდგომარეობა, ვიდრე ირლანდია, თუ თვით ირლანდიელების ხელში არა, ისეთ ინგლისელების ხელთ მაინც არ იქნება, რომელთაც ესმით ირლანდიის საჭიროებანი და თანაგრძნობით ეკიდებიან მათ მისწრაფებას“.

საფრანგეთი. „მონიტორ ორიანტალ“-ს სწერენ, რომ კონგრეგაციების სკოლების დახურვა მძიმე ტვირთად დააწვება სახელმწიფოს ბიუჯეტს და ფინანსებსო. ჯერ 2500 სკოლა, სულ რომ ცოტა, ათიოდე მილიონ ფრანკს მოითხოვს. განათლების სამინისტრომ უკვე განკარგულება მოახდინა და სწავლის დაწყებამდე იშოვიან და დაიქირავებენ საჭირო შენობებს. სკოლებს მოათავსებენ სახელმწიფო ან საზოგადო შენობებში, მაგრამ სამინისტროს მაინც ბევრი ახალი სკოლის აშენება დასჭირდება. გაუქმებულ კონგრეგაციათა სკოლების შენობით სამინისტრო ვერ ისარგებლებს, რადგან უმეტესი ნაწილი ამ შენობებისა ან უფასოდ, ან ძალიან დაბალ ფასად ჰქონდათ პატრონებისაგან დათმობილი. მთავრობას კი ისე ძვირად დაუფასებენ, რომ პირდაპირი უარის თქმა იქნებაო. ძნელია აგრეთვე ხეირიანი მასწავლებლების შოვნა, განდევნილ მონოზვნების და ბერების სამაგიეროდ. მაგრამ საქმე ის არის, რომ მთავრობას აზრად აქვს, ადრე იქნება თუ მალე, დაჰხუროს ყველა კერძო და საზოგადო კათოლიკური სკოლა. მაშინ საერო განათლების ბიუჯეტს მიემატება 6 მილიონი ფრანკი.

გერმანია. ამას წინად ბავარიის პალატამ უარი უთხრა ასი-ათასს ფრანკზე, რომელსაც მთავრობა სთხოვდა ხელოვნების საქმის გასაძლიერებლად. გერმანიის იმპერატორმა, რომელიც ყოველის შემთხვევით სარგებლობსა რომ თავი გამოიჩინოს, შემდეგი დეპეშა მისწერა ბავარიის პრინც-რეგენტს ლუიტპოლდს: „ეს არის დავბრუნდი სახლში და ულრმესი გულის წყრომით ვსცან, რომ შენთვის უარი უთქვამთ ხელოვნების საქმისთვის საჭირო ფულზე. ვისწრაფვი გამოვსთქვა ჩემი აღელვება იმ შავი უმადურობის გამო, რომელიც გამოიხატება ამ მოქმედებაში. როგორც ვიტტელსბახთა გვარისადმი, ისე შენი მაღალი პიროვნებისადმი, რომელიც ყოველთვის ბრწყინავდა, ვითა მაგალითი ხელოვნების ასამაღლებლად და გასაძლიერებლად. ამასთანავე გთხოვ, ნება მომცე მოგიძღვნა საჭირო ფული, რათა შენ შეგეძლოს სავსებით განახორციელო შენი სურვილი ხელოვნების სასარგებლოდ“. პრინცმა პასუხად დეპეშითვე დიდი მადლობა გადაუხადა და აცნობა, რომ სახელმწიფოს საბჭოს ერთმა წევრმა უკვე შესწირა ამ საქმეს საჭირო ასი-ათასი მარკაო.

გერმანიის პრესსა ბევრს ლაპარაკობს ამ ინციდენტზე. ეს უარი თურმე კლერიკალური ცენტრის ბრალი ყოფილა, რომელმაც თურმე მთავრობას ამ გვარად გადაუხადა თავისი უკმაყოფილება. ცენტრს უთანხმოება ჰქონდა განათლების მინისტრთან. თუმცა იგი სამსახურიდან გადადგა, მაგრამ პალატა მაინც ასე მოექცა მთავრობას.

ვილჰელმი II ტყუილად ჩაერია ბავარიის შინაურ მმართველობაში. გაზ. „გერმანია“ ამბობს: მას შემდეგ რაც იმპერია დაარსდა, ჩვენ არ გვახსოვს მაგალითი, რომ რომელიმე იმპერატორი ჩარეულიყოს მოკავშირე სახელმწიფოს შინაურ საქმეებშიო. მეორე სოციალისტური გაზეთი შენიშნავს: კარგი იქნება, რომ იმპერატორი თავის ჯიბიდან მისცემდეს ჯავშნიან გემების ხარჯსს რომელსაც მომავალი რეიხსტაგი უარს ყოფსო.

ახალი ამბავი

✦ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ შაბათს, 10 აგვისტოს, მომხდარ სხდომაზე გადასწყვიტა კავკავის სკოლისათვის **მასწავლებლებად** მოწვეულ იქმნან: ბ. კურდღელაშვილის მაგიერ ბ. გ. უტურაშვილი; ქ-ბნ ხახიშვილის მაგიერ—ბ. ა. ავალიშვილი; ხოლო თუ განხორციელდა მესამე მასწავლებლის მოწვევის განზრახვა—მოწვეული უნდა იქმნას ქ-ბ. ლომინაძე.

✦ ამ სამოსწავლო წლიდან ვაჟთა **მეხუთე გიმნაზიაში** იხსნება მეექვსე პარალელური კლასი.

✦ პარასკევს, 17 აგვისტოს, ტფილისის გამგეობის სადგომში სხდომა ექნება იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის **ქუჩების მოკირწყვლის საქმე.** ქალაქის გამგეობას რადგანაც ამ ჟამად 300,000 მანეთზე მეტი აქვს ქუჩების საუკეთესო სისტემით მოსაკირწლავად, ამიტომ კომისია უნდა შეუდგეს ზრუნვას, თუ საიდან გამოიწერონ საუკეთესო ქვა, როდის და რა რიგად შეუდგნენ ქუჩების მოკირწვლასა და სხვ.

✦ კვირას, 11 აგვისტოს, **საზოგადო კრება** ჰქონდა ტფილისის დურგალთა ამხანაგობ-ს. კრებას, რომელსაც თავმჯდომარეობდა მიხ. ჩოდრიშვილი, დაესწრო 25 წევრი. გამგეობის წევრმა ბ-ნმა ქურდიანმა განსახილველად წარუდგინა კრებას ამა წლის გასულ 6 თვის მოქმედების ანგარიში, რომლის შინაარსი უკვე გვქონდა აღნიშნული. (აქვე აღვნიშნავთ, რომ შეცდომით გვქონდა მოხსენებული, ვითომც ამხანაგობას მოგება 377 მან. საანგ იშო წლის განმავლობაში ჰქონდა; ნამდვილად ეს მოგება ამხანაგობას დაარსების დღიდან ჰქონია). ამხანაგობის ანგარიშის განხილვის დროს კამათი გამოიწვია ისევ სამოქმედო თანხის სიმცირემ. დიდის ბჭობის შემდეგ დაადგინეს, სთხოვონ წევრებს დახმარება აღმოუჩინონ ქარხანას სესხებით.

აქ რამდენიმე პირმა 17 თუმნამდე აღუთქვა ქარხანას სესხი. შემდეგ კრებამ ანგარიში დაამტკიცა შეუცვლელად. რადგანაც გამგეობის ზოგიერთმა წევრმა უარი განაცხადა გამგეობაში სამსახურის გაგრძელებაზე, კრებამ გარდასწყვიტა ამოირჩიოს ახალი წევრები. კენჭის ყრით ამორჩეულ იქმნენ შემდეგი პირნი: გ. ბერძნიშვილი (20 თეთრი კენჭი ამოუვიდა და 1 შავი) იოსებ მაჭავარიანი (15 თ. 6 შ.) მიკირტუმოვი (15 თ. 6 შ.) და მიხ. ჩოდრიშვილი (13 თ. 8 შ,) არჩევნების შედეგის გამოცხადების შემდეგ საზოგადოების წევრმა მაჭავარიანმა და სხვებმაც განაცხადეს, ეს არჩევანი უკანონოდ მიგვაჩნია, რადგანაც მიკირტუმოვი კანდიდატის თანამდებობაზე იყო დასახელებული და, თუ ამოვირჩიეთ, კანდიდატად და არა გამგეობის წევრადო; ამიტომ ვითხოვთ ეს არჩევანი გაუქმდეს და კრება გადიდოს შემდეგის კვირისათვისო.

კარგა ხანს მოლაპარაკების შემდეგ კრება დასთანხმდა ამ წინადადებაზე და ხელახლად გამგეობის წევრთა ამოსარჩევად კრება დაინიშნა კვირას, 19 აგვისტოსათვის.

✦ წყალთა გამგეობის მეორე ოლქის საბჭოს შეუდგენია ანგარიში ამ გამგეობის 12 წლის მოქმედებისა. როგორც ანგარიშიდან სჩანს, ამიერ კავკასიაში სარწყავ-წყალთა გამგეობას ბევრი არაფერი **გაუკეთებია.** გამგეობამ ვერ მოაწყო რიგიანად ვერც სარწყავ წყლის განაწილებისა და ვერც ახალ არხების გაყვანის საქმე. წყლის განაწილების აწ არსებულმა წესმა ბევრი უკმაყოფილება და საჩივარი გამოიწვია. ზოგი მემამულე ზარალსაც კი ედავება თურმე ხაზინას. ანგარიშის შემდგენელის აზრით, საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს სარწყავ წყლებს და მოწეს-რიგდეს ეს საქმე ამიერ კავკასიაში.

✦ „ნოვოსტ“-ში ვკითხულობთ: „გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული ზომები იქმნას მიღებული საქონლის მატარებლებზე ბოროტმოქმედთა მოსასპობად. რუსეთის რკინის გზათა მთავარმა ინსპექტორმა ა. ნ. გორჩაკოვმა აცნობა გზათა მინისტრს, რომ **უბილეთოდ მგზავრობა**, როგორც სახალხო, ისე საქონლის მატარებლებზე, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის რკინის გზაზეა გაძლიერებულიო. ამიტომ მინისტრმა დაავალა რკინის გზათა საბჭოს, განიხილოს ეს საქმე და შეიმუშავოს ამ ბოროტების მოსასპობი საშუალებანი.“

✦ „ჩერნ. ვესტ.“-ის სიტყვით, ამ ჟამად არსდება ფრანგ კაპიტალისტთა ამხანაგობა, რომელსაც აზრად აქვს, შავი-ზღვის ნაპირას გამართოს **გემის საშენებელი**. ადგილი ჯერ არ ამოურჩევიათ, თუმცა ნება-რთვა უკვე მოსვლიათ.

✦ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად კავკასიაში საქონლის **აცრას** შეუდგნენ. როგორც გვატყობინებენ, ბარად აცრამ მეტად კარგი ნაყოფი მოიტანა. აცრილ საქონელს ჭირი თითქმის სულ აღარა ჰხვდება. სამწუხაროდ, ისევე არ მოქმედებს თურმე აცრა მთის საქონელზე. აცრილს საქონელს მთაში ხელ-ახლა ჰხვდება ჭირი, თუმცა ჭირი ისე ძლიერ ველარ მოქმედებს, როგორც აუცრელზედ.

✦ სოფლის საავადმყოფოს ერთმა ექიმმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ამ საავადმყოფოებს **დაურიგდეს დიფტერიტის სამკურნალო შრატი.** თავის შუამდგომლობას ექიმი იმით ასაბუთებს, რომ ეს სენი ხშირად ჩნდება სოფლებში, მაგრამ ექიმებს იმის წინააღმდეგ საბრძოლველად ხელთ არა აქვთ ხსენებული შრატი.

✦ კავკასიის სამთო გამგეობის **უფროსად,** როგორც „კასპ“-ს ატყობინებენ, დანიშნულ იქმნა ინჟენერი რუგევიჩი.

✦ ტფილისის **გუბერნიის მკურნალი** ბ-ნი ქიქოძე სამსახურის საქმეებისა გამო გორის მაზრას წავიდა.

✦ 11 აგვისტოს კრებაზე ტფილისის **დურგალთა ამხანაგობამ** გარდასწყვიტა, მიხეილის ქუჩაზე დაიქირაოს ახალი სადგომი და მადათოვის კუნძულიდან მაღაზია იქ გადაიტანოს. ამხანაგობას ამ ჟამად მაღაზია გამართული აქვს ქარხანასთან ისეთ მივარდნილ ადგილას, რომ მუშტარმა განსაკუთრებით უნდა იცოდეს, თორემ ისე ვერც-კი მოიგონებს ქარხანას.

✦ ქალაქის **ხორცის დუქნების** გამგემ 12 აგვისტოს მიჰმართა საბეითალო განყოფილებას და სთხოვა, ნება მიეცეს მორეკოს კვიკეთის საძოვრებიდან ქალაქის მიერ შეძენილი საქონელი. ამ ჟამად ქალაქს 500-მდე სხვილ ფეხა საქონელი ჰყავს კიკეთში.

✦ 11 აგვისტოდან დღემდე 200 **ოსმალეთიდან გადმოსული სომეხი გაჰგზავნეს** კავკასიიდან უკანვე ოსმალეთში. ამ სომხებმა რუსეთის ქვეშევრდომობა არ მიიღეს.

✦ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში, როგორც გვატყობინებენ, წარუდგენია სამინისტროსათვის პროექტი **ერევანში საბაღოსნო სკოლის დაარსების შესახებ.**

✦ როგორც გავიგეთ, კავკასიის სამკურნალო გამგეობამ ხელ-ახლა აღძრა ლაპარაკი **კეთროვანთათვის** ამიერ-კავკასიაში საავადმყოფოს დაარსების შესახებ.

✦ ქალაქის **სამხედრო ბეგრის** საკრებულოში უკვე შეუდგნენ ამ დღეებში იმ ახალგაზდათა სიების შედგენას, რომელნიც წელს უნდა გამოიწვიონ სამსახურში. წელს ტფილისის მცხოვრებთაგან გაწვეული იქნება სულ 650 კაცი.

✦ როგორც აღნიშნული გვქონდა, ამ დღეებში მოჰკლეს ტფილისის მოქალაქე, სამსახურს გარეშე მყოფი მოხელე **შადინოვი.** პოლიციამ ამ მკვლელობაში ეჭვი მიიტანა ნოვო ბაიაზეთის მაზრის ასლამაზ პეტროსოვზე, რომელიც, კარგა ხანს ძებნის შემდეგ, იპოვეს და დააპატიმრეს., დაპატიმრებული პეტროსოვი გამოტყდა დანაშაულში. როგორც გამოირკვა, რამდენისამე ხნის წინად შადინოვს გაუცვნია პეტროსოვი და საცხოვრებლად თავის ბინაზე მიუწვევია. ერთ ღამეს, რალაც მიზეზისა გამო, პეტროსოვსა და შადინოვს უსიამოვნება მოსვლიათ, რომლის დროს პეტროსოვს გაულახავს თავისი მასპინძელი. შადინოვს მეორე დღეს პოლიციაში განუცხადებია, პეტროსოვი თავს დამეცა და მცარცვავდაო. საქმე გამოძიებაში ყოფილა, როცა ამ გარემოებით გამწარებულ პეტროსოვს შეურჩევია დრო და ღამით 8 აგვისტოს შეპარულა შადინოვის სახლში და ბებუთით 10 ჭრილობა მეტი მიუცია შადინოვისათვის. პეტროსოვი გამომძიებელს გადაეცა.

✦ ბათუმის საპყრობილიდან, „ჩერნომ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, ხარკოვის მთავარ საპყრობილეში **გაუგზავნიათ** ხუთი ზაქათალელი ბეგი. ეს ბეგები გახიზნულ იქმნენ ზაქათალის ოლქიდან მავნე საზარალო ყოფაქცევისათვის.

✦ ტფილისში ჩამოსული თურქესტანის სკოლების **მოსწავლენი** ჩამოხტნენ ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. ექსკურსანტებმა დაათვალიერეს საჯარო წიგნთ-საცავი, კავკასიის მუზეუმი და სხვა.

✦ ღარიბთა პირველ საქალაქო თავ-შესაფარის გამგედ დაინიშნა ქალაქის მე-2 თავშესაფარის გამგე ბ-ნი სააკოვი, ხოლო მეორე თავშესაფარის გამგედ ბ. მ. კლიმიაშვილი.

✦ იმ მოიჯარადრემ, რომელსაც იჯარით ძაღლების ჭერა აქვს აღებული ტფილისში, შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ 15-დან 31 აგვისტომდე ძაღლების ჭერას შეუდგება შემდეგის რიგით: პოლიციის მე-8 ნაწილში—16 და 17 აგვისტოს, მე-7 ნაწილში—19,20 და 21, მე-4 ნაწილში 22 და 23, მე-5 ნაწილში—24 და 26 და პოლიციის მე-6 ნაწილში 27 და 28 აგვისტოს.

✦ მკითხველებმა უკვე იციან საქმე მურადოვისა, რომელმაც სამოსამართლო პალატის საქმეებიდან მოიპარა ანდერძი. როგორც შევიტყეთ, პოლიციას უკვე დაუპატიმრებია და გადაუცია გამომძიებლისათვის მურადოვი. მურადოვი არ ყოფილა კერძო ვექილი და შეცდომით გვქონდა ეს მოხსენებული.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ მოახლოვდა ბამბის შემოტანის დროც და „ქუთაისის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის“ გამგეობაც შეუდგა იმის თადარიგს, რომ ეს საქმეც გააწესრიგოს. თავმჯდომარე „ამხანაგობის“ გამგეობისა ი. ქუთათელაძე და ორი წევრი—ვ. ბეჟანეიშვილი და მ. ლალიძე—არავითარ შრომასა და ზრუნვას არ ჰზოგავენ „ამხანობის“ საკეთილდღეოდ. ბამბის ვაჭრობაც ჩარჩების ხელშია თითქმის და, ხომ მოგეხსენებათ, რა ოსტატურად იქცევიან ეს ვაჟბატონები, რომ საქონელი—თუ მეტი არა—ნახევარ ფასად ჩაიგდონ ხელში. საქმე ისე მიჰყავდათ ამათ, რომ მეტოქეობა არავის შეეძლო გაეწია. დღეს „ამხანაგობა“-ს ბამბის ვაჭრობასაც უნდა მოჰკიდოს ხელი, რომ ამის ფასებიც გააუმჯობესოს. ყოველ ეჭვს გარეშეა, „ამხანაგობა“ დიდ სამსახურს გაუწევს ბამბის მწარმოებელ სოფლის ხალხს, რომელიც დღეს ყელთამდე ჩარჩის ხელშია. ამით გლეხი გამაგრდება და უფრო ხალისიანად მოეკიდება ამ დარგის წარმოებასაც.

როგორც გავიგეთ, „ამხანაგობა“-ს დაუდგენია, ეხლავე შეიძინოს ბამბის საქაჯავი და სოფლად აგენტები გაჰგზავნონ და ხალხს აცნობონ, რომ „ქუთაისის მეაბრეშუმეთა ამხანაგობა“ ბამბასაც კარგ ფასებში ჰყიდულობს.

ღმერთმა ხელი მოუმართოსთ!

✦ ქალაქის გამგეობამ „წვანე ბაზრის“ მოედანი კარგა ხანია მოკირწლა რიყის ქვით და, თუ წინეთ აქ ცოტა წვიმაც აუარებელ ტალახს დააყენებდა, ეხლა, მთელი კვირაობითაც რომ იწვიმოს, ტალახის ნასახიც არ რჩება.

ამ მოედანზე ქალაქი ეხლა ორ-რიგად ხის ფარდულებს აშენებს, თითო ფარდულში რვა-რვა თვალი იქმნება და ქალაქს კარგს ფულსაც შემოუტანს. ამას გარდა, ამ მოედანზე ვაჭრობა მეტად შევიწროებული იყო აქამომდე; ფარდულების გაკეთების შემდეგკი ბევრად გაწესრიგდება ამ ადგილას, როგორც ქუთათურების მოვაჭრეთა, აგრეთვე სოფლებიდან შემოსულ ხალხის ვაჭრობა. მყიდველებიც ადვილად და თავისუფლად მოტრიალდებიან ბაზარში, თორემ წინედ ისე ვერ გაივლიდა კაცი, ვისისამე თაბახში ფეხი არ ჩაეკრა.

✦ პროფესორი ვ. მ. პეტრიაშვილი და რამდენიმე მისი პატივის-მცემელნი 9 აგვისტოს ეტლებით გელათის მონასტრის დასათვალიერებლად წავიდნენ.

✦ უწმაწურ სიტყვების ხმარება იმერეთში, როგორც მოგეხსენებად, მეტად იშვიათია. მაგრამ ეს „ქალაქური“ ჩვეულება ჩვენშიაც შემოდის ნელნელა: სამხედრო ეკლესიის რუს-მოძღვრის ქალი სახლისაკენ მიდიოდა. გეგუთის ქუჩაზე რომ გავიდა, აქაურ მედუქნეების ნოქრებმა ქალის შესახებ უწმაწური სიტყვები იხმარეს. ქალს ქართული სცოდნებია და შინ მისვლისას მამას შესჩივლა. მამას პოლიციისათვის მიუმართავს და ამ უკანასკნელსაც თორმეტამდე კაცი „ვირის აბანო“-საკენ გაუსტუმრებია...

ცოტა გულისთქმას მიეცემიან ეს ვაჟბატონები და სხვებისათვისაც მაგალითი იქნება...

რუსეთის ქრონიკა

როგორც „ხარკ. გუბ. ვედ.“-ი იუწყება, გამოძიება პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიებში მომხდარ გლეხთა არეულობების გამო უკვე დამთავრდა და საქმე სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის განყოფილებას გადაეცა. აზრადა აქვთ, ამ საქმის განხილვა სექტემბრის შუა რიცხვებისათვის დანიშნონ.

◆ ვილნოს პოლიცმეისტერს, როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, შემდეგი ბრძანება გაუცია: „ხშირად მიცხადებენ უკმაყოფილებასა და ჩივიან პოლიციის მოხელეთა და პოლიციელთა უზრდელ ყოფაქცევის გამო. საჩივარში აცხადებენ, რომ პოლიციელნი მეტად უზრდელად ექცევიან საზოგადოებასაო. როდესაც თანამდებობის ასრულებას შევუდექი, ბრძანება გავეცი, პოლიციის მოხელენი და პოლიციელნი ზრდილობიანად მოჰქცეოდნენ საზოგადოებას. მაგრამ, როგორცა ვხედავ, ჩემ მეცადინეობას არავითარი ნაყოფი არ მოუტანია. ამიტომ ხელ-ახლა ვუბრძანებ პოლიციელებს, ზრდილობიანად მოექცნენ ხალხს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკ ზომებს მივმართავ“.

◆ კიევის გუბერნიაში ამ დღეებში გაყიდულა დიდი მამული—10 ათასი დესეტინა მიწა. ამ მამულში 9 დიდი სოფელია, ეკუთვნოდა იგი ერთ სამრეწველო საზოგადოებას. მამულში ამას გარდა არის: დიდი შაქრის ქარხანა, უზარმაზარი ორთქლის წისქვილი, არყის სახდელი რამდენიმე ქარხანა და სხვა. მამული 4 მილიონ და 600 ათას მანეთად უყიდნია გრაფ ბაჟოვსკის.

პრესსა

არა ერთხელ აღგვინიშნავს ის სამარცხვინო საპოლემიკო იარაღი, რომელსაც დრო გამოშვებით „ივერია“ მიჰმართავს ხოლმე და რომლით საქვეყნოდ ირცხვენს თავის ქალარას. აღგვინიშნავს, მაგრამ., როგორ სჩანს, ამაოდ: „ივერია“-ს ძვალში და რბილში ჰქონია გამჯდარი შჩედრინის „უდავისა და დიბას“ მცნება და ყოველს პოლემიკას პოლიციურის გამოძიებით ათავებს. ვინ დასწერა ეს სტატია?—ჰკითხულობს „ივერია“. ჰო, ამან და ამან. ეხლა გვესმის ეს, რისთვის დაუწერია: ამა და ამ ადგილს თხოულობდა—უარი უთხრეს და იმიტომ არის გაჯავრებულიო! მოდი და პრინციპიალური მსჯელობა იქონიე იმგვარ მოწინაამდეგესთან, რომელიც ყოველს ბაასს ათავებს იმით, რომ შენი ნათქვამი, ან ნამოქმედარი უთუოდ ცუდის განზრახვით ახსნას! მკითხველებს ეხსომება, რომ „ივერია“-სთან ლაპარაკი გვქონდა ესკიზის „უტუ ხუნცურავა“-ს შესახებ. ჩვენს შენიშვნაზე „ივერია“-მ გვიპასუხა ისეთის ბოდვითა და ამასთანავე ისეთის სამარცხვინო პოლემიკურის ოინით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია სავსებით არ ამოვიწეროთ ის ადგილი, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით მკითხველების წინაშე.

მოჰყავს-რა ჩვენის შენიშვნის ბოლო სიტყვები, „ივერია“ ამბობს:

> საბრალო გადია! სომხის ჩარჩების მოტფრიალე ბებრუცანას ანაზდეულად მარცხი მოუვიდა და ხმაურობა რომ დაჰფაროს, ვის რას არ აბრალებს საცოდავი!
>
> არა, „ივერიას“ არაოდეს არ ჩაუდენია და, იმედია, არც ჩაიდენს ისეთს რასმე, რის შემდეგაც სირცხვილისაგან ფერი ეცვალოს. პირ-იქით, „ივერიას“ რცხვენოდა, და სამართლიანადაც რცხვენოდა, როდესაც ამას წინად ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორის ბ-ნ აბულაძის ამორჩევის შესახებ „ცოდვის ფურცლის“ ერთმა კბილ-მოკვეთილმა დედა-ბოძმა ამ არჩევნების შესახებ წუწუნით შესჩივლა თავის მკითხველებს:
>
> „ქუთაისის ბანკის საქმეები ძალიან აწეწილია და საჭირო იყო გამოცდილი და მცოდნე კაცი ამოერჩია დამსწრე საზოგადოებასა და არა ისეთი, როგორიც ბ. აბულაძეაო“.
>
> და თან ვანქის უბნისაკენ ნიშნით უჩვენებდა ადრესსაც იმ გამოცდილ და მცოდნე კაცისას.
>
> აი ამისთანა მადის დასაკმაყოფილებლად გამოწვეულ წერილებისათვის რცხვენოდა „ივერიას“ „ცნობის ფურცლის“ მაგიერ და მის საღერღელ აშლილმა გადიებმა, რაც უნდა იწუწუნონ, მსჯელობაში „ივერიის“ ბორძიკს ვერაოდეს ვერ დაამტკიცებენ, პირ-იქით ყველას დაანახვებენ რომ თვითონ ტაბუხს იკრავენ.

„უტუ ხუნცურავა“-ს შესახებ კამათი აი როგორ თავდება „ივერიის“ საპოლემიკო ზნე-ჩვეულების წყალობით! ეს პირველი მაგალითი არ გახლავს: დავწერეთ წერილები „წ.-კ. საზოგადოების“ და სტუდენტთა საზოგადოების შესახებ და მაშინაც „ივერია“-მ ამით დააბოლოვა პოლემიკა: „ცნობის ფურცლის“ თანამშრომლებს გამგეობის წევრობა ჰსურთ და იმიტომ სწერენ ასეო!.. დაგვილოცნია „ივერიისათვის“ ასეთი გზა, მაგრამ ვაუწყებთ, რომ ამგვარ სამარცხვინო პოლემიკურის იარაღით რედაქცია „ყველას დაანახვებს“ მხოლოდ თავისს სრულს უძლურებას...

არ შეგვიძლია აგრეთვე „ივერიის“ პოლემიკის ზნე-ჩვეულების დასახასიათებლად არ აღვნიშნოთ, რომ ის სიტყვები, რომელიც ვითომ ჩვენ დაგვეწეროს და რომელიც „ნარკვევის“ შემდგენელს კორპუსით მოჰყავს, სრულიად ჩვენ არ გვეკუთვნის. აი როგორ მოურიდებლად ექცევა გაზეთი თავისს მოვალეობასა და მოპირ-და-პირესაც!

⁂

„სუდებნ. გაზეტა“-ში რამდენიმე წერილი დაიბეჭდა სამხედრო და საზღვაო სასამართლოების შესახებ. გაზეთი ამტკიცებს, რომ სულ მეტია სამუდამო სასამართლოებიო. არც ერთ მხედრობას, რუსეთის გარდა, სამუდამო სასამართლოები არა ჰყავს; რუსეთშიაც მხოლოდ მე-60 წლებში შემოიღეს, ისიც იმიტომ, რომ ამ სასამართლოებისათვის დამოუკიდებლობა უნდოდათ მიენიჭებინათ. ავტორი ერთის წერილისა ამტკიცებს, რომ დამოუკიდებლობა შეიძლება დროებით სასამართლოებშიაც დაცულ იქმნას. სამუდამო სამხედრო სასამართლოებზე დიდ-ძალი ფული იხარჯება თურმე.

ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ეხლანდელ სამხედრო სასამართლოს იურისტებს საქმე არაფერი აქვთ: არის ისეთი სამხედრო-ოლქის სასამართლოებიც რუსეთში, რომელნიც ხშირად თვეში ერთის საათით იკრიბებიან. უნდა განიხილონ უბრალო და მარტივი საქმეები: მეარტელეს მიერ 45 კაპეიკის დახარჯვისა, ჯარის კაცის მიერ უნტერ-ოფიცრის ცემის შესახებ და სხვა. სამხედრო ოლქის სასამართლოს მიერ ასეთის საქმის გარჩევა ხშირად ხაზინას 500-დან 1000-მანეთამდე უჯდება.

დაბა-სოფლები

სოფ. პატარძეული. (გარეთ-კახეთი) პურის მოსავალი ჩვენში კარგი იყო; სამაგიეროდ ვენახმა გვიმტყუნა, ჯერ იყო და გაზაფხულზე სიცივემ დაჰკრა ახლად გამოტანილს კვირტს და სულ მოშუშა, ამიტომ წელს ჩვენში არც კაკალია არც ნუში, არც სხვა ხილი, აქა-იქ თითო ოროლას გარდა. იმედი-და გვქონდა მხოლოდ ძველის ვაზის კვირტისა, რომელიც ცოტა გვიან გამოვიდა, მაგრამ ეს იმედიც გაგვიცრუვდა: ამ თვის ორში მშვენიერი დარი იდგა: შუა დღის შემდეგ წამოიქრუშა, დააწვა სოფელს შავი დრუბელი, ასტყდა ქარი, ელვა-ქუხილი და სწორედ 5 საათზე საშინელი სეტყვა დაუშინა. სეტყვა თუმცა მსხვილი არ იყო, მაგრამ თითქმის ნახევარ საათს გრიალი გაჰქონდა: ისეთი დღე დააყენა ჭირნახულს, რომ მტრის თვალით არ ინახვება. კალოები ჩაშლილი ჰქონდათ, მაგრამ კალოებს ვინა სჩივის. ვაზებს ისე ჩამოსცილდა ფოთოლი, თითოს ძალად აგრეფინებენო; ვაზს ფოთოლიც-კი აღარ შერჩა, მტევანი ხომ სულ დაავრევინა. სოფელი და მიდამოები თეთრად მოიპენტა და ერთ მტკაველზე სეტყვა დასდო. ხალხის მწუხარებას საზღვარი არა აქვს, ათასნაირი ვალი აწევთ კისერზე. ბევრი ვენახის იმედით იყო და ეს იმედიც გაუქრა.

ასეთი დიდი ზარალი კარგა ხანია ხალხს აღარ მოჰსვლია. სწორედ რომ სატირელი სანახავია აქაურობა. ნეტავ ვეღირსებით როდისმე, თუ არა, სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლველ ზარბაზნებს. ამ საქმესაც, როგორც ყველა სხვას, კაცი უნდა; ჩვენ-კი კაცი არა გვყავს.

მარცოკა

ალაგირი (ოსეთი). წელს ალაგირელმა ქართველებმა ბევრი გაჭირვება გამოიარეს უადგილობის გამო და ბევრი დარჩა უთივოდ. მიზეზი ამისა ისაა, რომ წინა წლებში ქართველები სათიბებს აქაურ მკვიდრთან იჯარით იღებდნენ, დესეტინას 3 მან. წელს-კი, ქართველების საუბედუროდ, ეს მიწები ჩუმად აიღეს იჯარით ოსებმა, სოფ. ნებითი-ქრისტიანელებმა. ამ სოფლის მცხოვრებთ სამი იმოდენა ადგილი აქვთ, რაც ალაგირელ რუსებს, მაგრამ იმათ თავიანთი ადგილები სულ დაუხნავთ და ეხლა სათიბები აიღეს, ამასთან იჯარის ფასს საშინლად აუწიეს. წინა წლებში დესეტინა 3 მან. იძლეოდა, ეხლა 12 მან. ვეღარ შოულობენ. თითონ რუსებიც დიდ გაჭირვებაში არიან და კიდეც სწუხან. როდესაც თივა დაგვაკლდებოდა ხოლმე, ალაგირელ ქართველთაგან ვყიდულობდით, ეხლა რა უყოთ და რა გვშველებაო, ამბობენ რუსები. ჰფიქრობენ, ტყეში მოჰთიბონ ბალახი, მაგრამ, საუბედუროდ, იქ კიდევ ტყის მცველი არ უშვებთ.

აქეთ მშვენიერი ამინდებია, მკაც გათავდა.

მეცრეველი

ცხინვალი. 7 აგვისტოს, ნაშუადღევის ორს საათზე, დაიწყო წვიმა და ხუთის წამის განმავლობაში სეტყვაც წამოუშინა. არ გასულა ნახევარი საათი—მთელი ცხინვალი ნიაღვარში იდგა. მომეტებულ ადგილას წყალი ორ არშინამდის ავიდა. დამწვარს დუღილი დაესხაო, რომ იტყვიან სოფლის ანდაზას, სწორედ ცხინვალელებს დაემართათ, ცეცხლმა რაც დააკლო, ის სეტყვამ დაამთავრა. ვისაც ორ სართულიანი სახლი არ ედგა, იმათგანი მხოლოდ ბედნიერ ადგილს მცხოვრებნი გადარჩნენ უვნებლად; წყალი შევარდა, როგორც სახლებსა, ისე დუქნებში. ებრაელთა უბანი მთლად წყალში იდგა. ქუჩაში ერთი წივილ-კივილი ისმოდა, ერთი აურ-ზაური, დედებს თავიანთი პატარა შვილები ხელში დაეჭირათ და დახრჩობის შიშით ამ სხმა წვიმაში გარედ გამორბოდნენ, სადაც წელამდე წყალში დასცურავდნენ. მშველელი ამ გაჭირვების დროს არავინ ჩანდა. სასოწარკვეთილი მცხოვრებლები გაიძახიან: ეს ორჯელ რაღაც სასწაულით გადავრჩით ცოცხალნი, მაგრამ მესამედ კი ჩვენი გადარჩენის იმედი არა გვაქვსო.

ზარალი მეტად დიდია. სახლებიდან და დუქნებიდან მრავალი სანოვაგე და ნივთები წაიღო წყალმა. ახლო-მახლო ვენახები მთლად გაანადგურა, კალოები წალეკა. მცხოვრებნი მეტად დაღონებულნი არიან.

ნიქოზელი

წერილი ოზურგეთიდან

თეატრი და წიგნთსაცავი

„როგორც ელავს, ისე არა ჰქუხსო“, ნათქვამია, და ეს ბრძნული ანდაზა სწორედ ჩვენს პატარა ოზურგეთზეა გამოჭრილი. მართლაც და, აბა, რას წარმოადგენს თავის სიცელქე-სიჩქარით ცნობილი და გარეგანის თვალის მომჭრელი ოზურგეთი? ჩვენდა სამწუხაროდ, ცხოვრების მაჯის ცემა ოზურგეთში შეწყვეტილ-შეჩერებულია. შორს არ წავალთ და მაგალითისთვის თეატრსა და წიგნთსაცავს ავიღებთ.

პირველს, ე. ი. თეატრს, ოზურგეთი სრულიად მოკლებულია. აგერ მთელი ზაფხული გადის და, ერთხელ რა არის, ერთხელაც-კი წარმოდგენა არ გამართულა. მიზეზი, რასაკვირველია, შენობის უქონლობაა. ამავე მიზეზით არ გვეწვია წელს ბ-ნ გუნიას დასი, რომელმაც დაბა-ქალაქები შემოიარა და წარმოდგენები გამართა. ყოფილ მოურავის ბ-ნ ნ. თავდგირიძის მიერ ამ რამდენისამე წლის წინად თეატრისათვის ჩაყრილმა საძირკველმა დიდი ხანია ბარგი აიკიდა, გამოგვემშვიდობა და თქვენი ჭირი წაიღო. მას შემდეგ არა ერთხელ შესდგა სათეატრო კომიტეტი, არა ერთხელ გადასწყვიტეს თეატრისა და წიგნთსაცავისათვის საკუთარის შენობის აგება, მაგრამ... მაგრამ სიტყვა სხვაა და საქმე კიდევ სულ სხვა.

ავიღოთ ახლა წიგნთსაცავი, რომელიც რამდენიმე წელიწადია არსებობს, მაგრამ სავალალო ის არის, რომ უკან-უკან თუ იწევს და საფლავის კარებს უახლოვდება. შედიხართ შიგ და გული გიკვდებათ: დიოგენის ლამპრითაც რომ ეძებოთ, ერთს ახალს წიგნსაც თვალს ვერ მოჰკრავთ! ასე გასინჯეთ, ჩვენ საუკეთესო მოღვაწეთა სრულს თხზულებასაც ვერ იშოვნით. მიდიან მსურველნი, ჰკითხულობენ: ესა და ეს წიგნი თუ გაქვთო და მხრებ-ჩამოყრილნი უკანვე ბრუნდებიან. სამკითხველოს ერთი რუსული ჟურნალიც არ მოსდის. გაზეთები, წასულ წელთან შედარებით, ნაკლებია. წევრები, გარდა სამისა, წელს არ ჩაწერილან. კრების მოწვევა-დანიშვნა და საზოგადოებისათვის წიგნთსაცავის ნამდვილი მდგომარეობის გაცნობა ხომ არავის აზრადაც არ მოსდის... თვით სამკითხველო „დატუსაღებულია“ ერთს ვიწრო, ნესტიანსა და მეტად უხეირო დუქანში. ჩვენ საშინლად გვაკვირვებს ერთი რამ, რაიც აქვე უნდა აღვნიშნოთ: ამ ორის წლის წინად, როცა ზოგიერთს შეძლებულს ვაჭარს სთხოვეს, წევრებად ჩაეწერეთ და მით წიგნთ-საცავს ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეთო, განაცხადეს: ჩვენ მხოლოდ იმ პირობით ჩავეწერებით წევრებად, თუ წიგნთ-საცავს ბაზარში გადმოიტანთ, წინააღმდეგს შემთხვევაში ფული რად გადავყაროთ: წიგნთ-საცავი ბაზარზე დაშორებულია და იქ ვერ ვივლითო. ვაჭრებს წადილი აუსრულდათ, წიგნთსაცავი გადაიტანეს. პირველ წელს, აღთქმისამებრ, მართლაც ბევრმა საწევრო ფული შემოიტანა და ყოველ-წლივ ასეთსავე დახმარებას დაჰპირდა. ახლა ვიკითხოთ: სად გაჰქრა მაშინდელი დაპირება, რატომ წელსაც წევრებად არ ჩაეწერნენ და ფული არ შეიტანეს? განა ვერ ჰხედავენ წიგნთ-საცავის უნუგეშო მდგომარეობას? ან კი როგორ დაინახავენ, როცა ახლოს არ ეკარებიან! ასე გასინჯეთ, მთელის წლის განმავლობაში, როგორც მკითხველთა ჩასაწერ დავთრიდან სჩანს, ორ-სამს ვაჭარს არ შეუხედნია სამკითხველოში!..

ასე და ამ რიგად წიგნთ-საცავი უკან-უკან წავიდა. დღეს იგი სულს ებრძვის... და თუ დროზე გულშემატკივარი არ გამოუჩნდა, ახლო მომავალში, ჩვენდა სამარცხვინოდ, სულსაც განუტევებს.

იუპიტერი

ორიოდე სიტყვა ხელოსანთა შესახებ

საკვირველი ხალხი ვართ ქართველები! ანბანს ვისწავლით თუ არა, მაშინვე საზოგადო ასპარეზზე გამოვდივართ, ახალ-ახალ პროექტებს ვადგენთ და საზოგადოებას ვპირდებით, თუ ამეებს განვახორციელებთ, სამოთხის ნეტარებას აქვე ვიგემებთო. სწორედ ასეთ რამესა გვპირდება ავტორი „ივერი“-ის მე-159 ნომერში მოთავსებულ წერილის—„ხელოსანთა ახალ მოურავის საყურადღებოდ“, ბ—შვილი. ამავე წერილს „ივერია“-მ უძღვნა მოწინავე წერილი, რომელშიაც დიდის თანაგრძნობით ეკიდება ავტორის აზრს. ბ-ნ ბ—შვილს ძალიან გვიან გაჰმოღვიძებია, ამქრობის დღენი დათვლილია და, დღეს თუ არა ხვალ მაინც, „არხივისაკენ“ გაამგზავრებენ, რადგან არც ჩვენ ცხოვრებას და არც ხალხის მისწრაფებას აღარ შეეფერება. (რუსეთის დიდ ქალაქებში ბევრგან გაუქმებულია ხელოსანთა ამქრები; ევროპაში ხომ იმათი ხსენებაც არ არის).

მაგრამ დავანებოთ თავი ყველა ამას და გადავიდეთ ბ-ნ ბ—შვილის წერილზე. პირველად უნდა აღვნიშნოთ ბ—შვილის უსუსურობა: ხელოსნებში შრომის განაწილება იმას დიდ ცოდვად მიაჩნია. აი რასა სწერს იგი ამის შესახებ: „ქალაქის მეჩექმეთა ამქარში ასში ერთს ვერ იპოვნით, რომ ჭრა და კერვა იცოდეს; ასე რომ, ერთი რომ სჭრის—მეორე ჰკერავს. ზოგიერთს გიჟივით ერთი საქმე აუჩემებია, ჩექმასა ჰკერავს და ტყავი რომ გააძრო პოლსაპოშკსა (?) არა იცის რა. ჩვენ ხელობაში-კი სხვა-და-სხვა საქმეა—ქალისა, კაცისა“... და სხვ.

როგორცა სჩანს, ამ მარგალიტების დამწერი ძალიან ნაკლებად იცნობს თანამედროვე წარმოების წესს. ის, რაც წარმოების ქვა-კუთხედს შეადგენს, ბ—შვილს დამამცირებლად მიაჩნია.

არ შეგვიძლია აქვე არ აღვნიშნოთ ბ—შვილის აზრი მეჩექმების შესახებ. იგი ბრძანებს, რომ „სხვებს აჭრევინებენ და თითონ ჰკერავენო“. ეგ მართალია, მაგრამ როდის არ იყო ასე. ან სად არის ისეთი მეჩექმე, რომელიც ყველაფერს ისე აკეთებდეს, როგორც ბ—შვილს ჰნებავს? მეჩექმეების გვერდით არიან ხელოსნები, რომლებსაც „ЗАКРОЙЩИКЪ“-ს ეძახიან. თუ ასეა, მეჩექმეებს რომ კალაპოტები და „შპილკები“ სჭირდებათ მუშაობაში, რატომ ამეების გაკეთება-მომზადებას-კი არ ავალებს ბ—შვილი ამავე მეჩექმეებს!.

ბ—შვილი ჰბრძანებს კიდევ: „ქარგლებს და შეგირდებს ჩასძახიან, 6 საათიდან 6 საათამდე იმუშავეთ. 6 საათს იქით ხელი არ გაანძრიოთო... რა გულ-შემატკივრობაა, თუ ღმერთი გრწამთ, კაცი დღე და ღამ მუშაობს—ვერას გამხდარა, რომ არა იმუშაოს რა—რას გახდება?“... ჰო და სწორედ ეგ დღე და ღამ მუშაობაა, ბ-ნო ბ—შვილო, თავი და თავი მიზეზი, რომ ხელოსანთა უმრავლესობა ვერას გამხდარა. „ნუ თუ არ იციან“-ო, განაგრძობს რისხვით „ზოგიერთ უსტაბაშებზედ“, „რომ მთელი ქარგალთა უმრავლესობა ნაჭრითა მუშაობს საქმეს და და 6 საათზე რომ აუშვას მუშაობა, ისიც მაის-თიბათვეში (ნეტა მაის-თიბათვე როდაა?), რაღა უნდა გააკეთოს, რომ გაჭირვებას თავი დააღწიოს! ან სად უნდა წავიდეს? მე შენ გითხრა, მათ მიერ გამართულს სკოლასა და ბიბლიოთეკაში ივარჯიშებს! ამათი გასართობი ტრაქტირები და სამიკიტ-

ნოები გახლავთ...“ როგორცა სჩანს, ბ—შვილის აზრით, რაც მეტს იმუშავებს ხელოსანი, მით მეტს აიღებს. რად არ იცის ბ—შვილმა, რომ რამდენადაც სამუშაო დრო კლებულობს, იმდენად ხელფასი მატულობს და წინააღმდეგ. რაც შეეხება იმასა, რომ ქარგლები და შეგირდები თავისუფალ დროს ვითომ დუქნებსა და ტრაქტირებში ატარებდნენ, ეს სიმართლეს მოკლებულია. ხელოსანთა უმრავლესობა ეხლა ძალიან შორს არის დუქან-ტრაქტირებში ხეტიალისაგან და, თუ მცირე ნაწილი კიდევ დაიარება, ეს ის ქარგალ-შეგირდები არიან, რომელნიც დილის 6 საათიდან ღამის 12-დინ თავ-აღებულად მუშაობენ 6 დღე კვირაში და ერთი საათიც არ რჩებათ თავისუფალი, თავიანთ ანორმალურ მდგომარეობაზე იფიქრონ. რაღა საკვირველია, რომ ასეთი კაცი მე-7 დღეს სასმლით გაბრუვდეს?!

ყოველივე ეს ხომ საანბანო ჭეშმარიტებაა და ვწუხვართ, რომ ბ—შვილს და იმათთან ერთად „ივერია“-საც ვერ გაუგიათ დღემდის.

დავით გალაჭოშიშვილი

უცხოეთის წვრილი ამბები

როგორი ადამიანის ხორცი უფრო გემრიელია. ერთმა ამერიკელმა მწერალმა სხვათა შორის დაათვალიერა ფიჯის კუნძულები ავსტრალიაში, სადაც კაცის მჭამელები ცხოვრობენ, და ერთს იქაურს საპატიო კაცს გამოჰკითხა იმის გემოვნება და შთაბეჭდილებანი ადამიანის ხორცზე. აღმოჩნდა, რომ კაცის მჭამლებს ავსტრალიელების ხორცი ურჩევნიათ თეთრ-კანიანი ხალხის ხორცს.

— თეთრი კაცის ხორცი,—აუხსნა მწერალს კეთილსვინდისიერმა კაცის მჭამელმა,—ძალიან მარილიანია, მლაშე. ავსტრალიელების ხორცი უფრო ნაზი და გემრიელია. ყველაზე საძაგელი ხორცი ბებერი ზღვაოსნებისაა. მე ერთი ზღვაოსნის ხორცი ვჭამე, მეტის მეტად უგემური იყო. თუ არ შიმშილი, ხელს არ მოვკიდებდი იმ ხორცს და გადავაგდებდი.

— ადამიანის ხორცის რომელი ნაჭრები უფრო გემრიელია?—ჰკითხა მწერალმა.

— თავდაპირველად თავი: თვალის ქუთუთოები და ტვინი—დიდი მშვენივრებაა. იმაზე გემრიელი არა იქნება. რა ძალიან კარგია ლოყები, მეტადრე ახალგაზდა ხალხისა—ჩვენთვის ეს პირის ჩასატკბანურებელია. ურიგო არ არის ბეჭის პავები და ნეკნები. დანარჩენი საძაგლობაა, კატებს მივუყრით ხოლმე.

რამდენისამე საათის შემდეგ საპატიო კაცის მჭამელმა სანადიროდ მიიწვია ამერიკელი მწერალი თუთიყუშებზე. ამ ველურ კაცს თოფი ჰქონდა და ამერიკელს დაჰპირდა, ისეთ ალაგს გაჩვენებ, სადაც ძალიან ბევრი ფრინველი არისო. თუმცა ამერიკელი თეთრკანიანი იყო და ისიც იცოდა, რომ იმისი ხორცი ძალიან მლაშეა და უგემური, მით უმეტეს მადლობა მოახსენა და არ წაჰყვა სანადიროდ.

თეთრი ხალხის ხორცი იმიტომ უფრო აძაგა კაცის მჭამელმა, რომ ამერიკელი ტყეში შეეტყუებინა და იმისი თეთრი ტკბილის ხორცით კარგა ექეიფნა.

* *

ახალი ჯვარ—დაწერილთა დროს გატარება ხეზე. კალიფორნიის ახალგაზდა მცხოვრებმა მისს მარშლიანდმა, როცა დანიშნული იყო, თავისს საქმროს განუცხადა, რომ იმას ძალიანა სძულს ქორწილის შემდეგ მოგზაურობა. ქალაქებში აქეთ-იქით სირბილი, ვაგონებში სივიწროე, სასტუმროებში შევიწროვებული ცხოვრება,—ყველა ეს მეტად არ მოსწონდა ახალგაზდა ქალს. იმას უნდოდა, ქორწილის შემდეგ პირველი „ტკბილი“ დღეები ცისა და დედამიწის შუა გაეტარებინა. ქალმა ჯერ იფიქრა, რომ ჰაეროსტატით აფრენილიყვნენ, მაგრამ ამ გვარი მოგზაურობა ქორწილის შემდეგ პირველი არ იყო და მეორეც, ეს მოგზაურობა მალე გათავდებოდა და ძალიანაც დაიღლებოდნენ.

მისს მარშლიანდი ძალიან დააფიქრა ამ კითხვამ და მოაწყინა კიდეც. ერთს მშვენიერს დღეს საქმრომ მოირბინა და უთხრა, საქმე გაკეთებულია და ის კი არ უთხრა, რა და როგორ.

ბოლოს ჯვარი დაიწერეს და ქმარმა თავისი კეკლუცი ცოლი ერთ მთის ძირში დაბურულს ტყეში წაიყვანა. ისინი შედგნენ ერთის უზარმაზარ მუხის ძირში და ქმარმა დაანახვა ცოლს შტოებში გაკეთებული და ფოთლებში დამალული ხის სახლი, თვრამეტი საჟენის სიმაღლეზე.

— აი ჩვენი ახალი სადგომი, უთხრა ქმარმა.

მართულისა, თუ თოკის კიბით, ნამდვილი არ ვიცით, ახალი ჯვარდაწერილები ავიდნენ ამ თვალუწვდენელს სიმაღლეზე და ქალმა სიხარულით არ იცოდა, რა ექნა, როდესაც მშვენიერ სადგომში შევიდა. ამ სადგომს შეადგენდნენ: სასტუმრო ოთახი, დასაძინებელი და სამზარეულო; საბანებელი ოთახიც კი ჰქონდა. ქალს ისე მოეწონა ეს სადგომი, რომ დღემდის ძირს ჩამოსვლა აღარ უნდა თავის უცნაურის კოშკიდან. ქალს აზრადაცა აქვს, რომ იქ გაატაროს შემოდგომა და ზამთარიც. მხოლოდ ქმარი შესძლებს თუ არა.. ამისთანა ცხოვრებას, ეს კი არ ვიცით...

* *

მურაბა ინგლისის ჯარებისათვის. ამ დღეებში ინგლისის სამხედრო მინისტრმა წარუდგინა დეპუტატთა პალატას ერთი დოკუმენტი, რომელიც დიდად საინტერესოა, გაიგოს კაცმა, რა ფუფუნებაში იყვნენ ინგლისის ჯარები სამხრეთ აფრიკაში ამ უკანასკნელ ომის დროს.

ამ დოკუმენტში მოხსენებულია, რამდენი და რის მურაბა დაუხარჯავთ ინგლისის ჯარებს ბურებთან ომის დროს.

თანახმად ამ გამოკვლევისა, ჯარებს შეუჭამიათ 34,582,762 გირვანქა სხვა და სხვა მურაბა, ე. ი. თითო მეომარზე მოდის 80 გირვანქა მურაბა, ანუ ორი ფუთი. ყველაზე ძალიან ჰყვარებიათ მაყვლის მურაბა, რომელიც უფრო მეტი შეუჭამიათ; იმას მოჰყვება გარგარისა და ფორთოხლის მურაბა. მინისტრის მოხსენებამ არავინაც არ გააკვირვა, რადგანაც ყველამ იცის, როგორ ანებივრებს მთავრობა ჯარს.

რამ ენ კომანდირს ენატრება ფორთოხლის და გარგარის მურაბა?

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 აგვისტო

პორტ-არტური. პრინცი კომატცუ აქ მოვიდა. მოსკოვიდან მგზავრობას 14 დღე-დამეზე ნაკლებ ხანს მოუნდა.

სოხუმი. შავის-ზღვის ესკადრა სოხუმს მოვიდა.

ხარბინი. 11 აგვისტოს, სამხედრო სას.მართლოს განაჩენის თანახმად, ჩამოხრჩობილ იქმნა იმ ბრბოს მეთაური, რომელმაც გაზაფხულს აფთიაქის პატრონის მეეროვიჩის ოჯახობა მოჰკლა.

ოდესა. უნივერსიტეტის კლინიკების ასაგებად ქალაქმა გადასდო 400,000 მანეთი და დაუთმო ხუთი დესეტინა მიწა.

11 აგვისტოს, შიპკაზე ბრძოლის შემდეგ 25 წლის შესრულების სახსოვრად, გენერალ რადეცკის ძეგლთან გადახდილ იქმნა პანაშვიდი.

ხარკოვი. გენერალი ბოგდანოვიჩი აქ ჩამოხტა გუბერნატორის თავად ობოლენსკის მისასალმებლად. პოლიცმეისტერს ბოგდანოვიჩმა ხატი გადასცა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. იარმუკის კომიტეტმა მიიღო წინადადება—აღძრას შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკა სრულიად განთავისუფლებულ იქმნას სამრეწველო გადასახადისაგან.

ყაზანი. ჭვავის მკა ყველგან თავდება. შემოდგომის ნათესობის მოსავალი გუბერნიაში საშუალოა.

სოხუმი. ესკადრა ახალ ათონს წავიდა. ჯავშნიანი გემი „როსტისლავი“ 12 აგვისტოს გაგრას წავიდა.

პარიზი. ოფიციალურ ცნობით, 47 საგენერალო საბჭომ მთავრობას მისალოცი ადრესები გაუგზავნა, 13-მა სურვილი განაცხადა, რომ საკონგრეგაციო სკოლები ხელ-ახლა გაიხსნას, სხვა 13 საბჭომ წინააღმდეგი გამოსთქვა; ორმა წარადგინა განცხადება სწავლების თავისუფლების სასარგებლოდ, სამმა—წინააღმდეგ; ოთხმა საგენერალო საბჭომ დაადგინა, გამოუცხადოს მთავრობას, რომ არ იწონებს იმის მოქმედებას, ხოლო ხუთმა უარ-ჰყო საბჭოში შეტანილი ამ გვარივე წინადადებანი.

შანხაი. სასულიერო მისიაში მყოფ ადგილობრივ მცხოვრების წერილით მართლდება ხმა კუნაუს პროვინციაში ინგლისელ მისიონერების ბრუსისა და ლიუიზის მოკვლის შესახებ. მისიონერებისთვის ჯოხებით უცემიათ და მოუკლავთ.

ვერჟბოლოვო. საზღვარ-გარედ მიმავალმა პრინცესსამ საქსენ—ალტენბურგისამ საზღვარგარეთისაკენ გაიარა.

პეტერბურგის ბირჟა 9 აგვისტოს

გექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,15
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,80
ბერლინზე "	46,27½
პარიზზე "	37,62½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	—
5% 1-ლი შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	461 "
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	352 გაყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	287¼ "
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	180 "

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. ([illegible] ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. [illegible] წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

რუსულ სახლობაში, სადაც იციან ქართული ენა, ჰსურთ მიიღონ ქალაქ გარეშე მცხოვრებლების ყმაწვილები სახლში შესანახად და მოსამზადებლად მაისისთვის სასწავლებლებში შესაყვანად.

მეექვსე ნაწილი ქალაქისა, ვარანცოვის ქუჩა. ადელხანოვის ფაბრიკა ელიაროვის პერეულკა.

(2—372—2) **ვაზილი ტარაევი**

ცინკოგრაფია

წიგნის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

განქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პლატონ იოსელიანისა.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაუნება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მაღაზია

(სასახლის ქუჩიდან)

გადადის ერთ შენობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო), (0—9)

დიდი ვერცხლის მედალი

ქუთ. 1901 წლის გამოფენა

ახალი სახურავი,

რომელიც ჰქონდა პატენტი ალებული.

ფაბრიკა და საცინკო ქარხანა

ი. შოლენგოვსკის

და

ამხანაგობისა

ბათუმში.

[illegible]

[illegible]

ჰოლსტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეისკურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

ამხანაგობის წარმომადგენელნი:

ტფილისში გ. მულიარსკი

(ერევნის მოედანზე № 25)

ქუთაისში ვ. ჭილაძე

(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.) (50—8)

Дозв. ценз. Тифлисъ, 12 Августа, 1902 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).